ხელშეკრულება № ს-097

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(გამარტივებული შესყიდვა)

თბილისი 15 დეკემბერი, 2017წ.

სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი - (შემდგომში - შემსყიდველი ორგანიზაცია), წარმოდგენილი მისი **დირექტორის ხათუნა კასრაძის** სახით და **შპს „თავისუფალი უნივერსიტეტი“,** შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად", წარმოდგენილი რექტორის, ვახტანგ ლეჟავას სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მეორე მუხლის ,,ა“ პუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის გამოყენების შედეგად, ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ტერმინთა განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – ,,ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2 ,,ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 ,,დღე“, ,,კვირა“, ,,თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 ,,შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 ,,მიმწოდებელი" – პირი, რომელიც უწევს მომსახურებას შემსყიდველს ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 ,,მომსახურება" – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურება.

1.7 „ინსპექტირება“ – ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია შემსყიდველი ორგანიზაციის თანამშრომელთა (შემდგომში–„მონაწილეები“) კონფერენციაში მონაწილეობის უზრუნველყოფის მომსახურების (CPV-**80500000** - სატრენინგო მომსახურებები) შესყიდვა.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 300.00 (სამასი) ლარს.

3.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ კონფერენციაში ერთი „მონაწილის“ მონაწილეობის უზრუნველყოფის მომსახურების ღირებულება შეადგენს 150.00 (ასორმოცდაათი) ლარს.

3.3 ხელშეკრულების ღირებულება, მომსახურების ღირებულების გარდა, ასევე, მოიცავს წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს 2 „მონაწილის“ მონაწილეობა თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის სამართლის ცენტრის და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის ორგანიზებით 2017 წლის 16–17 დეკემბერს ბიზნესის სამართალში გასამართ განგრძობადი იურიდიული განათლების მეექვსე ეროვნულ კონფერენციაში;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ ან უმოკლეს შესაძლო ვადაში უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ინსპექტირების განხორციელება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ვალდებულებები.

10. გარანტია

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გაწეული მომსახურება სრულად დააკმაყოფილებს საქართველოში მოქმედი შესაბამი სტანდარტებითა და ნორმებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მასზე ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

5. ინსპექტირება

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ინსპექტირება, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას ინსპექტირების განხორციელების დროს.

5.2 ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის ფინანსური სამსახურის უფროსი გიორგი ზაქარაია.

5.3 შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი დგება მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

6.2 მიღება–ჩაბარების აქტზე მიმწოდებლის მხრიდან ხელს მოაწერს თამარ მაღრაძე (ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტის და ბიზნესის სამართლის ცენტრის მენეჯერი).

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად;

გ) დაფინანსების წყარო: 2017 წლის საკუთარი შემოსავლები.

7.2. მიმწოდებელს აუნაზღაურდება ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულება შემსყიდველ ორგანიზაციაში შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარდგენის შემდეგ (თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად), მხარეთა მიერ გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გახანგრძლივების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ერთი-ერთი მხარე არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებულ ვალდებულებას, მეორე მხარე აფრთხილებს მას რომ ჯეროვნად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები. თუ გაფრთხილების მიუხედავად, მხარე არ ასრულებს ან მნიშვნელოვნად არღვევს ნაკისრ ვალდებულებას, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

9.3. ხელშეკრულების 4.1 პუნქტის ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,3 პროცენტის ოდენობით.

9.4. წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,3 პროცენტის ოდენობით.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამ, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე, ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან, მიმწოდებელს გადაეცემა ერთი, ხოლო შემსყიდველს – ორი ეგზემპლარი.

17. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:
სსიპ „ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი“
თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №1
საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა - TRESGE22
ხაზინის ერთიანი ანგარიში - 707997153
საიდენტიფიკაციო კოდი: 204423230
ტელეფ 2942248

ხათუნა კასრაძე

შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი“,
წარმოდგენილი რექტორის, ვახტანგ ლეჟავას მიერ,
მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი 240
საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი“,
ბანკის კოდი: BAGAGE22,
ა/ა: №GE16BG0000000353107100
ს/კ – 211359448

ვახტანგ ლეჟავა